



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი
(ქისლევი)
№12 (398)
(5776)
2014

”הנורה“

עיתון יהודי

בגרוה

16 ნოემბერი – ტოლერანტობის დღე

გერთიანებული ერების ორგანიზაციის გადამწყვეტილებით, 16 ნოემბერი ტოლერანტობის დღეა. ეს დღე ჩინებულად აღინიშნა საქართველოში. დღით საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ევროპის მოედანზე შეხვდა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მოედანთან სკვერს ტოლერანტობის სკვერი ეწოდა.

შუადღისას კი გამოქვეყნდა პრეზიდენტ **გიორგი მარგველაშვილის** წერილი, რომელშიც ის საუბრობს ტოლერანტობაზე, ქართველი ხალხის ტოლერანტულ სულისკვეთებაზე.

ნაშუადღევს საქართველოს პარლამენტში ტოლერანტობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა მიღება, რომელზეც ტოლერანტობის თაობაზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ეკა ხახალიაშვილი**, მისმა მოადგილე **ბედვან ფოფხაძე**, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურაძე**, მწერალმა, მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა **გურამ ბათიაშვილმა** და სხვ.

იოსებ ბარდნაშვილის თანამედროვე ბალეტის დიდი წარმატება

14-15 ნოემბერს გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდმა შოთა რუსთაველის სახ. თეატრში წარმოადგინა საპრემიერო სპექტაკლი — იოსებ ბარდნაშვილის ბალეტი „გურჯი ხათუნი“, რომელიც ახალგაზრდა ქორეოგრაფის მარიამ ალექსიძის ინიციატივით დათო ტურამვილის რომანის მიხედვით შეიქმნა. ბალეტის დადგმა განახორციელა მარიამ ალექსიძემ, ლიბრეტო შექმნა რომანის ავტორმა დათო ტურამვილმა, დამდგმელი მხატვარი გახლავთ ანა კალატოზიშვილი.



გურჯი ხათუნის პარტიას ასრულებს ნათია ბუნტური, კონიის სულთანისას – თოლგა ბურჩაკი (თურქეთი).

ჩვენმა კორექსონდენტმა რამდენიმე მაყურებლის მოსაზრება ჩაინერა:

რობერტ სტურუა: მარიამის ამ დადგმაში ძალიან დიდი პროგრესი ვიგრძენი. სპექტაკლი ისეა აგებული, რომ კლასიკური, ბანალური ბალეტის სიუჟეტში არ

გადადის. მარიამი ახერხებს ცეკვით, მხოლოდ ბალეტის ხერხებით გადმოსცეს ამბავი. არაერთი პანტომიმა, არაერთი ახსნა-განმარტებები და შენ ყველაფერს ხვდები. ჩემი აზრით, არის ბრწყინვალე მიღწევებიც, ბალეტის ენას ვგულისხმობ. არის ის, რაც უკვე მხოლოდ მარიამისაა. ადრე ასე გამოკვეთილად მისი სტილი არ იგრძნობოდა, რალაც ნაპერწკლები იყო, მაგრამ ახლა დავინახეთ მარიამის, როგორც ბალეტმანისტერის, ქორეოგრაფის გარკვეული სახე. ძალიან გახარებული ვიყავი, რომ ამ გოგონამ ბალეტის ხერხებით ასეთი რთული მუსიკის გადმოცემა მოახერხა.

თამარ ჩხაიძე: კარგად მოფიქრებული სპექტაკლია. მომეწონა, მარიამ ალექსიძემ მიაგნო ბარდნაშვილის მუსიკისა და ქორეოგრაფიის სინთეზს, ბევრი მოძრაობა ჩამრჩა მეხსიერებაში.

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუზუალ ფუქსი: ეს კულტურის სფეროში ჩვენი თანამშრომლობის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო და მოხარული ვარ, რომ საელჩომ კომპოზიტორი ბარდნაშვილის საქართველოში ჩამოსვლას ხელი შეუწყო. ისრაელი თანამედროვე ცეკვების თვალსაზრისით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში უაღრესად საინტერესო ქვეყანა გახდა.

საქართველოსა და ისრაელს ამ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების უდიდესი პერსპექტივა აქვთ.

16 დეკემბერს იყება
სანუქის დიდი დღესასწაული.
მოგილოცავთ!

დამტკიცდა ძველი აღთქმის ნაამბობის რეალურობა



კაიროს სიძველეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წითელი ზღვის ფსკერზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ადამიანის ნაშთები და ეგვიპტური ჯარის საომარი აღჭურვილობა. აღმოჩენები თარიღდება ძვ.წ.აღ 14 საუკუნეში.

worldnewsdailyreport.com პორტალის შეტყობინების თანახმად, საუბარი არის ნეალქვეშა არქეოლოგიურ გამოკვლევებზე, რომელიც შესრულდა სუეცის არხის ფსკერზე, თანამედროვე დასახლება რას-ხარიბიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით.

სამეცნიერო ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფესორი აბდულ-მუჰამედ გადერი და მონაწილეობას იღებდნენ კაიროს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები.

არქეოლოგებმა წითელი ზღვის ფსკერის დაახლოებით 200 კვადრატული მეტრის მოედანზე აღმოაჩინეს 400 ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, ასევე დიდი რაოდენობით ფარაონების ეპოქის საომარი აღჭურვილობა, რომელშიც შედიოდა ასევე საომარი ეტლები.

სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ საძიებო რაიონის გაფართოების შემთხვევაში, მათ მიეცემათ ეგვიპტელი ჯარისკაცების რამდენიმე ათასი ნაშთისა და ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის ეპოქის დროინდელი ებრაული იარაღების აღმოჩენის შესაძლებლობა.

ისრაელის მეცნიერების მონაცემების თანახმად, ებრაელების მასობრივი გამოსვლა, რომელიც აღწერილია ხუთნიგნეულის მეორე წიგნში „შემოთ“ – („ხუმაში“ „გამოსვლა“) შედგა ძვ.წ.აღ 1312 წლის გაზაფხულზე.

თარგმნა: სალომე ჯაბისაშვილი

ბარბაროსობა ჩვენს დედაში


18 ნოემბერს დილას ცეცხლსასროლი იარაღით, ცულებით და დანებით შეიარაღებული ორი პალესტინელი ტერორისტი ებრაული რელიგიური სასწავლებლის, იეშივას ტერიტორიაზე შევიდა და სინაგოგაში მლოცველებს დაესხა თავს.

ტერორისტების თავდასხმას ოთხი მშვიდობიანი ისრაელელი ემსხვერპლა, ოთხი – მძიმედაა დაჭრილი, ოთხს კი საშუალო სიმძიმის დაზიანება აქვს მიღებული. შემთხვევის ადგილზე მყოფმა უსაფრთხოების წარმომადგენლებმა ორივე ტერორისტი გაანეიტრალეს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ტერორისტები სინაგოგებს და რელიგიურ სასწავლებლებს ესხმიან თავს. 2008 წელს თავდამსხმელი იერუსალიმის რაიონში, კირიათ მოშეში "მერკაზ ჰა რავის" იეშივაში შეიჭრა და უსაფრთხოების ძალების მიერ მის განადგურებამდე რვა მოსწავლის სიცოცხლე შეინირა.

იერუსალიმში მომხდარი მორიგი ტერორისტული აქტი ისრაელისა და ებრაელების წინააღმდეგ აგორებული კამპანიის შედეგია, რომელსაც პალესტინელი ოფიციალური პირები და, მათ შორის აბუ მაზენი ეწევა.

**იუვალ ფუქსი:
„მშვიდობის
მსურველმა
ნაბისმიერმა
ქვეყანამ
იერუსალიმში
მომხდარი
თავდასხმა
უნდა
დაგმოს“**



საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იერუსალიმში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს 2014 წლის 18 ნოემბერს ქ. იერუსალიმის ერთ-ერთ სინაგოგაში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს, რომელსაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უსამძიმრებს დალუპულთა ოჯახებს და მთლიანად ისრაელის ხალხს. ამგვარი სასტიკი და არაჰუმანური ქმედებები უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს, რომელიც მკაცრად უნდა იქნას დაგმობილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

თბილისი, 2014 წლის 18 ნოემბერი



ფაქტობრივად, ბაზრონათმკვამბი ღალატობა:

ელენა მიზულინა (რუსეთის დუმის წევრი, პარტია „ედინაია როსია“):



რუსეთის ებრაელობას ვთავაზობ დახმარებას ისრაელში გადასახლებაში. მივცემ მათ სამგზავრო ფული და მედალი „რუსეთის განთავისუფლები-სათვის“.

რა არის მიზეზი ელენა მიზულინას ასეთი განცხადებისა? ის, რომ „დღეს ებრაელები დიდ ადგილს იკავებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ბიზნესის, ქვეყნის ხელმძღვანელობაში. ნებისმიერი ებრაელი, სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი, მაინც ისრაელისაკენ იყურება და შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის პატრიოტი იყოს“.

ირაკლი ღარიბაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი):



„ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს ღრმა ფესვები და დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენი ურთიერთობა დღესაც მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ძალიან ძვირფასია ჩვენთვის. საამაყოა, რომ 26 საუკუნის წინ საქართველოს მიწაზე დაწყებული ჩვენი თანაცხოვრება და მეგობრობა სულ უფრო მყარდება. მსოფლიოში არ არსებობს ორი ერის ძმობის ისეთი მაგალითი, როგორც ქართველთა და ებრაელთა შორისაა. და ჩვენ მზად ვართ მეგობრობისა და ურთიერთობის ეს მაგალითი მთელ მსოფლიოს გავეუზიაროთ“.

ოთარ სეფიაშვილის ხსოვნას

ნიუ-იორკიდან დამამწიფებელი ამბავი მოვიდა — გარდაიცვალა ოთარ სეფიაშვილი — კინომცოდნე, ჩინებული მოღვაწე ქართული კულტურისა, შვილი და თავადაც მეთაური ღირსეული ოჯახისა.

ოთარ სეფიაშვილმა ქართული კინომცოდნეობა საინტერესო მალალი ოსტატობით დაწერილი ლიტერატურით გაამდიდრა. მისი მონოგრაფიები, სტატიები, რეცენზიები ინტერესით იკითხებოდა და მჯერა, კვლავაც ასევე იქნება.

მას დიდი პოპულარობა მოუპოვა სატელევიზიო პროგრამამ „ილუზიონი“ — 70-80-იანი წლებში ტელემეყურებლისათვის მისი სახელი უკავშირდება სატელევიზიო, კინომეცნიერების სივრცის გაფართოებას.

ცნობილი სასულიერო მოღვაწის, რაბინის შვილიშვილმა სიცოცხლის ბოლო წლებში ებრაულ თემას მიმართა და დაწერა საინტერესო ნიგნები. ამ მხრივ საყურადღებოა „მეგილათ ესთერის“ მისეული ხედავა, კომენტარები, ხოლო სქელტანიანი ნიგნი „ხსოვნა“ არა მხოლოდ კინო, ებრაულ სამყაროში წვდომის კარგი ნიმუშია.

ოთარ სეფიაშვილმა დადებითი როლი ითამაშა ჩემს ბიოგრაფიაში — პერიფერიაში სკოლადამთავრებული რუსულ ენაში ძალიან მოვიკოჭლებდი, რაც უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომისათვის სერიოზული წინააღმდეგობა გახლდათ. ოთარი საგულდაგულოდ მამზადებდა და

რალაც თვენახევარში რუსულ ენაში იმდენი მომცა, რომ მისაღები გამოცდა წარმატებით ჩავაბარე.

ოთარი ბიცოლაჩემის ძმისშვილი გახლდათ. მე მისი მამის — ბატონი გერშონის სახელი დამარქვეს იმიტომ რომ ჩვენს ოჯახში ამ ღირსეულ კაცს — გერშონ სეფიაშვილს — დიდ პატივს სცემდნენ, უყვარდათ. სწორედ მისი სიყვარულის გამო დამანათლეს ეს სახელი — გერშონი.

ოთარი იყო გულისხმიერი, მეგობრული, დამხმარე. არასოდეს დამავინწყებდა მისი გაბრწყინებული მხერა, იმის გამო, რომ ჟურნალმა „საბჭოთა ხელოვნება“ ჩემი პირველი პიესა „ძახილი“ დასაბეჭდად მიიღო. ჩვენი კეთილი, ნათესაური ურთიერთობა ათეულობით წლები გრძელდებოდა, მანამ სანამ ჩვენს შუა არ ჩადგინენ განდიდების საძრახისი ზნის ადამიანები. ისინი დაუცხრომლად მეცადინებდნენ იმისათვის, რომ ოთარიც ჩაერთო ჩემი სახელისა და ღირსების დამამცრობელ სამარცხვინო, ბინძურ ლაშქრობაში.


როცა ადამიანი ამ ქვეყნიდან მიდის, მისი საქმეები, განვლილი გზა სოფლის სასწორზე იწონება. ოთარ სეფიაშვილი ჩემთვის იყო და რჩება ადამი-



ანად, რომლის მამის სახელს ვატარებ, რომელმაც კარგი ნიგნები დაწერა, რომელმაც ქართველი ებრაელობის სახელი და ღირსება კიდევ უფრო გააცისკროვნა. მუდმივი ესაა, სხვა ყველაფერი, მართალია, გულს აჩნდება, მაგრამ მაინც წარმავალია.

გურამ გათიაშვილი

შოთა მეგრელიშვილის სახ. სანაპირო ფოთში



9 ნოემბერს ფოთში გაზაფხულივით მზიანი დღე იყო, ირგვლივ ამაღლებული, სადღესასწაულო განწყობა იგრძნობოდა. ქალაქ ფოთში რამდენიმე ღირსშესანიშნავი ღონისძიება იყო დანიშნული. ჯერ იყო და, მთელი ქალაქის და ახლომდებარე სოფლების თუ რაიონების მცხოვრებნი სტუმრობდნენ ფოთს ტრადიციულ „ფაზისობის“ დღესასწაულზე. ამასთან ერთად, ამ დღეს ქალაქის ერთ-ერთ სანაპიროს უნდა დარქმეოდა საკმაოდ ცნობილი ქველმოქმედისა და მეცენატის, ფოთის საპატრიო მოქალაქის, შოთა მეგრელიშვილის სახელი.

აქ თემას ოდნავ გადავუხვევ: საქართველოსთვის უმძიმეს — უსინათლობის, განუკითხაობის, შიმშილისა და ყოველგვარი იმედაცრუების დღეებში ფოთში შოთა მე-

გრელიშვილის სამუშაო კაბინეტში ვიყავი. საუბრები ჰქონდა თანამშრომლებთან — უნებლიედ მესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ და კამათობდნენ. შოთა მეგრელიშვილის სამუშაო კაბინეტში შემოვიდა ლამაზი აღნაგობის, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა. მან ოთხად დაკეცილი ბარათი გადასცა ბატონ შოთას. შოთამ თვალი გადაავლო ბარათს, ფეხზე წამოდგა და ყველა განყოფილების უფროსი მოიწვია თავისთან, მათ საქმის ვითარება გააცნო, სათითაოდ ყველას დავალევა მისცა და უთხრა, რომ რაც შეიძლება სწრაფად და ოპერატიულად ემოქმედათ.

ოთხად დაკეცილ ბარათში ეწერა: „ძმაო შოთა, ვგონებ, კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და იცი, რომ მე მათხოვარი არა ვარ — უკიდურესად მიჭირს, მეზობელი ჯარისკაცები უკვე მეორე თუ მესამე დღეა, ფაქტიურად მშვირები მყავს. როგორც შეგიძლია დამეხმარე — ამას მე არა, ჩვენი ქვეყანა მოითხოვს.“ — და ხელმოხერა. სამწუხაროდ, ბარათის ავტორის ვინაობა ჩემთვის დღესაც უცნობია. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ იმავე საღამოს ფოთიდან ასეულ ტონობით სხვადასხვა პროდუქტით სრულად დატვირთულმა ბარაჟმა გეზი აფხაზეთისაკენ აიღო.

თურქეთიდან ფოთში სატვირთო ბარაჟით შოთას დაკვეთით ჩამოიტანეს ხახვი — დიან, ხახვი, რაც წარმოუდგენლად დეფიციტი იყო იმხანად ფოთში. ერთ კილოგრამ ხახვში გადახდილი იყო სამი რუსული მანეთი — ზემოხ-

სენებული საუბრის და კამათის თემა სწორედ ის იყო, რომ შოთას უნდოდა, ერთი კილოგრამი გაეყიდა 20 კაპიკად და ეს ასეც მოხდა. როდესაც მე და შოთა მარტონი დავრჩით, გაკვირვებულმა ვკითხე, თუ რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება — მოგების მაგიერ ზარალი. მან კი ამიხსნა:

— ჩემო სოსო, როცა ქალაქში ცხოვრობ, შენ უნდა გრძნობდე ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება; ხალხი უმუშევარია, ხელფასები არა აქვთ, ირგვლივ ათასგვარი გასაჭირია და ამ დროს ხალხის მდგომარეობით ისარგებლო და მოგებაზე იფიქრო, დიდი უზენობაა. პირიქით, თუ გინდა, მათი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო, გაჭირვების უამს მხარში უნდა დაუდგე, შეუმსუბუქო მდგომარეობა და აგრძნობინო, რომ ამ გაჭირვებაში ისინი მარტო ბედის ანაბარა არ არიან. დადგება დრო, მათ ეს მოაგონდებათ და სათანადოდ გიპაპუხებენ.

ეს რომ მომავლად, სრულეობითაც არ მიკვირდა — 2014 წლის 9 ნოემბერს ფოთის მოსახლეობა ამაღლებული განწყობით და ოვაციებით რომ შეხვდა ქ. ფოთში შოთა მეგრელიშვილის სახელის უკვდავყოფას — ქალაქის ცენტრში ერთ-ერთ ქუჩას შოთა მეგრელიშვილის სახელი ეწოდა. ხალხი ბრძენია, მას სიკეთე არ ავიწყდება. ეს იგრძნობოდა ქ. ფოთის მერის — ირაკლი კაკულიას, ფოთის ღირსეულ მოქალაქეთა, თბილისიდან ჩასსულთა სიტყვებში.

მე ამ დღეს უზომოდ ბედნიერი ვიყავი.



სოსო აჯიაშვილი

ქართველ ებრაელთა პუბლიცისტური მოღვაწეობის სათავეებთან

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს ქართველ ებრაელთა ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა საქართველოსა და ისრაელში მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად არის დამკვიდრებული, ამ კუთხით ბევრი რამ ჯერ კიდევ არაა სასურველ დონეზე გამოკვლეული. გარდა წმინდა მეცნიერული ინტერესებისა, ამ თვალსაზრისით არსებული ხარვეზის დასაძლევად მუშაობის გააქტიურებას მეტ აქტიულობას გამოიჩინებდა კეთილმეზობლური ის ურთიერთობა სძენს, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის დამკვიდრდა საქართველოში მათი ოცდაექვსსაუკუნოვანი თანაცხოვრების შედეგად.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთობა ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილის თავის ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრების შემდეგაც ისეთი დიდი წარმატებით გრძელდება, რომ ორი ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის – სახელმწიფოებრივ თანამშრომლობაზეც ახდენს უაღრესად კეთილსმყოფელ ზეგავლენას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ სათანადო მეცნიერული სიღრმით გამოუკვლევებელი საკითხთა შესწავლა, რაც უფრო ღრმად და საფუძვლიანად წარმოაჩენს ქართველთა და ებრაელთა მეგობრული თანაცხოვრების ისტორიას, არსებითად განსაზღვრავს ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევა-ძიების აქტიულობას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების შესწავლის საფუძველზე კონკრეტულად იქნეს გარკვეული, ქართველი ებრაელი ავტორები პირველად როდის ჩნდებიან ჩვენი ბეჭდური მედიის ასპარეზზე და თანადასრულდა პუბლიკაციებში რა უმთავრეს საკითხებზე გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს. როგორც ქართველ ებრაელთა ისტორიის ცნობილი მკვლევრის – დანიელ ხანანაშვილის მიერ ქართულ პრესაში ებრაელებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალების მოძიების შედეგად შედგენილი ბიბლიოგრაფიით ირკვევა, ქართველ ებრაელთა ავტორობით გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციას წარმოადგენდა გაზეთ „ივერიის“ 1887 წლის მე-100 ნომერში ქუთაისელი ებრაელის – შაფათა რიჟინაშვილის ხელმოწერილი დაბეჭდილი წერილი „ქუთაისში ახალი სინაგოგის კურთხევაზე“. სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციამდე ქართველ ებრაელთა ავტორობით არათუ ბეჭდური, არამედ წერილობითი სახით შექმნილი არც ერთი ტექსტი ჯერ-ჯერობით მიკვლეული არ არის.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველ ებრაელებს ინტელექტუალური ცხოვრების სფეროში მანამდე არაფერი გაუკეთებიათ საგულისხმო და მნიშვნელოვანი. ეს რომ ასე არ არის, ამის დასტურად აქ სამეცნიერო წრეებში ამ ბოლო დროს ფართოდ გახმაურებული ერთი მეცნიერული მიკვლევის გახსენებაც იქნება საკმარისი – ცნობილი ებრაისტისა და ქართველოლოგის, პროფესორ რეუვენ ენობის (რუბენ ენუქაშვილის) მიერ ჩანერილი და მეცნიერულად გამოკვლეული ის ზეპირი ტექსტები, რომლებიც ქართველ ებრაელ რაბინებს ჯამაათისთვის თორის კომენტარების მიზნით შეუქმნიათ ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში და

ამ დროიდან მოყოლებული ზეპირი ფორმით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

რაც შეეხება ქართველ ინტელექტუალებს, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ჩვენი საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები (მწერლები, ისტორიკოსები, საზოგადო მოღვაწეები და ა. შ.) ებრაელთა ყოფასა და საჭირობოროტო საკითხებს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ხოლმე, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ქართულ მწერლობასა და პუბლიცისტიკაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ მიმართულებით გამოვლენილმა ინტერესმა იმდენად დიდი მასშტაბებიც კი შეიძინა, რომ იმ პერიოდის ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემადაც იქცა. მათ ნაწერებში მწვავედ და ამკარად გამოხატული მხარდამჭერი პოზიციებიდან დაისვა როგორც ქართველ ებრაელთა, ისე, საზოგადოდ, მთელი ებრაელობის ისტორიული თუ იმდროინდელი ყოფის საჭირობოროტ პრობლემები. ეს ინტერესი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მეოცე საუკუნეში. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ებრაულმა თემამ ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკვიდრა იმხანად გამოძავალი ქართული პრესის ფურცლებზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ებრაელთა პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად სწორედ ზემოთ ხსენებული წერილის გამოქვეყნების თარიღი – 1887 წელი უნდა მივიჩნიოთ.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ხსენებულ პუბლიკაციაზე, მოვახდენ მის სრულ ციტირებას:

„ქუთაისი, 20 მაისს. თოთხმეტს ამ თვეს ქუთაისის ებრაელებმა დაიდეს ახალი და დღესასწაულით აკურთხეს ახალი ჩინებულად ქვით ნაგები თორა (სინაგოგა), რომელიც დაუჯდა ორმოც ათასს მანეთამდე აქაურ ებრაელ საზოგადოებას და რომელსაც აშენებდნენ თითქმის ათის წლის განმავლობაში. ამ იშვიათის დღესასწაულის გამო, რომელსაც დაესწრა ბ-ნი ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა მრავალი წარჩინებული კაცი, სინაგოგას ეზოში გამართული იყო საგრილობელი ფარდული, ყვავილებით მშვენივრად მორთული. ამ ფარდულში მონვეულ იქმნენ ცერემონიის შემდეგ პატივცემულნი სტუმარნი სასაუზმოდ. ცერემონია გაგრძელდა დილის რვა საათიდან პირველ საათამდე. როცა გაათავეს კურთხევა, ბატონმა რაბინმა ჩინებული სიტყვა წარმოთქვა ქართულად. რაბინმა სთქვა, რომ ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ, გვმართებს ერთობა, ძმური სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა. ამ სიტყვამ სასიამოვნოდ იმოქმედა საზოგადოებაზე. საუზმის დროს პირველად ვიცე-გუბერნატორმა, – გუბერნატორი არ დაესწრა, რადგანაც ამ დროს არ იყო სამსახურის გამო ქუთაისს, – მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო მიირთვა და შემდეგ ბ-ნ ქალაქის თავმა რაბინის სადღეგრძელო დალია. მუსიკა უკრავდა საღამომდე და როცა წაბრძანდნენ

მონვეული სტუმარნი, ყველას შეეძლო მისულიყო სუფრასთან და ესაუზმა. ვისურვებთ, რომ ჩვენებურმა ქართველმა ებრაელებმა არ დაივიწყოს თავისი რაბინის სიტყვა და ერთობითა და სიყვარულით ენეოდეს ცხოვრების მიძიმე ულელს.“

მიუხედავად დამონებული პუბლიკაციის მოცულობითი სიმცირისა, ავტორის მიერ მონოდებული ინფორმაცია მაინც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას როგორც ქუთაისში მცხოვრებ ებრაელთა სრულიად თავისუფალ და შეუზღუდველ ეროვნულ-სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე, ისე იმ კეთილგანწყობით დამოკიდებულებაზეც, რომელიც ქუთაისელ ებრაელებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არსებობდა. სწორედ ამ მოვლენათა დადასტურებას წარმოადგენს, ერთის მხრივ, ქართველ ებრაელთა უდიდეს დიასპორად ქცეულ ქუთაისში მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე გრანდიოზული და დღესაც არქიტექტურული ხელოვნების გამოჩენილი ნიმუშია აღიარებული სინაგოგის აგება, მეორეს მხრივ კი ამ სინაგოგის კურთხევისთან დაკავშირებით გამართულ დიდ რელიგიურ დღესასწაულში ხელისუფლების მესვეურთა და ქართველი საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა. როგორც პუბლიკაციის ავტორის მიერ მონოდებული ინფორმაციიდან ჩანს, ხსენებული საზეიმო ცერემონიალი ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრული თანაცხოვრების საუკეთესოდ წარმოჩენ კიდევ ერთ ღისსახსოვარ და მეტად მნიშვნელოვან მოვლენად ქცეულა.

ამ ინფორმაციის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს სძენს გაზეთ „ივერიის“ 1905 წლის 13 ნომერის ნომერში კ. ბ-შვილის ხელმოწერილი გამოქვეყნებული „წერილი ოდესიდან“, რომელშიც ამ ქალაქში ებრაელთა დარბევის შემზარავი ამბავია მოთხრობილი. ნათქვამის დასტურად დავიმონებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „საზიზღარი ეპიზოდი ვნახე ოდესაში. მე მოვედი ოდესაში სწორედ იმ დროს, როდესაც კაცთა საშინელი ჟღერა იყო. ოხ, მხეცი, საშინელი მხეციც კი შედრკებოდა და ცხარე ცერემონიებით ატირდებოდა ამ სურათების დანახვით! მკვლელობა და ასეთი?! ბავშვებს შუაზე ხლეჩდნენ, მოხუცებულებს ყელს სჭრიდნენ! აგერ სამი ქალიშვილით ერთი დედაბერი!.. ეს დედაბერი ფეხებით დაჰკიდეს, ქალიშვილებს ნამუსი აჰხადეს და მერე ყელები დასჭრეს. ყოვლად ნაბილწული პოლიცია! მაგრამ სად ვეძიოთ ის სიტყვა, რომელი ენის მცოდნე მომცემს მე იმ ტერმინს, რომლითაც შეიძლება მოვხატო დახასიათება ამ პირუტყვი ხალხისა? ქალაქის ერთმა წევრმა მითხრა: სამმა ქართველმა ოცდახუთ ხულიგანს სარდაფში ყელები დასჭრესო. ახალგაზრდობა ყრილობდა ხულიგნების ჯავრს. საცოდავი კლდიაშვილი! ჩვენი სტუდენტობა ამ კაცის გაბედული მოქმედებით გაოცებული იყო. ჩემს თვალწინ უმიზეზოდ მოჰკლეს ერთი სტუდენტი. სულიან-ხორციანად მოშხამული ვეგდე ერთის პროფესორის სახლში. სწორედ ჯოჯოხეთი იყო იქ ყოფნა. ჩვენ არ ვიცოდით, რა საათში დაუშენდნენ ჩვენს სახლს ტყვიისმტყორცნელი ტყვიებს და ზარბაზნებს. ჩვენ ვიდექით ერთ ურიის სახლში. შემდეგ პროფესორი თავის ბავშვებით აქედან სხვაგან გაიხიზნა. დავრჩი მარტო. ორი საათის შემდეგ შეიქმნა ფანჯრებზე ტყვიის სხაპა-სხუპი. მე მივიძლე ბავშვების ოთახში...“

21-ს ელოდნენ უფრო საშინელებას. უქადოდნენ დანგრევას ყველა ებრაელების სახლებს. ათ საათზე გავბედე სადგურისკენ წასვლა. გზაზე ოპრიჩნიკმა სალდათებმა გამძარცვეს. წამართვეს ჩემი მშვენიერი საათი და 35 მანათი ფული, მხეცურად, დაურიდებლად. შემდეგ კონსულებმა თავი მოიყარეს და მოახსენეს ნეიდგარდს, თუ არ შეგინწყვტიათ ეს საშინელება, დეპუტოთ გამოვინვევთ ევროპის ესკადრონებსო. ნეიდგარდმა უპასუხა: „ხვალ ყველაფერი დამშვიდდებაო.“

და მართლაც ასე მოხდა!..“

სამწუხაროდ, წერილის ავტორის ინიციალების გაუშიფრობის გამო, იმის დაზუსტებით თქმა, იგი ქართველია თუ ებრაელი, ვერ ხერხდება. სავარაოდოდ, ავტორი ქართველი უნდა იყოს. ამისდა მიუხედავად, დამონებული პუბლიკაციისთვის ყურადღების მიქცევა თუნდაც იმიტომაც ჩავთვალებ მიზანშეწონილად, რომ იგი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის არსებითად განსხვავებულ იმ მდგომარეობაზე, რომელიც საქართველოსა და რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში მცხოვრები ებრაელები იმყოფებოდნენ იმხანად. როგორც მკითხველი ციტირებული ფრაგმენტიდანაც დაინახავს, 1905 წელს ოდესაში მომხდარ სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენას შეეწირა მსხვერპლად იქაურ უნივერსიტეტში მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი საბა კლდიაშვილი, რომელიც აქტიურად აღუდგა ებრაელთა წინააღმდეგ განხორციელებულ ვანდალიზმს.

ქართულ პრესაში ქართველ ებრაელთა ავტორობით გამოქვეყნებული შემდეგი პუბლიკაცია იყო გაზეთ თემის 1913 წლის 17 ივნისის ნომერში დაბეჭდილი გ. თავდიდშილის კორესპონდენცია „შოთა რუსთაველის ძეგლის აგების საქმე.“ ხსენებული კორესპონდენციისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი კიდევ ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს უაღრესად პატივისცემულური იმ დამოკიდებულებისას, რომელიც ქართველებსა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებს შორის იყო დამკვიდრებული. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმონებ აღნიშნული კორესპონდენციის ტექსტს:

„ეს რამოდენიმე ხანია, ქართველ საზოგადოებაში აღიძრა საკითხი შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ, რაც მომასწავებელია იმისა, რომ ქართველი ერი, რაც დრო გადის, არამც თუ არ ივიწყებს თავის გულის მესაიდუმლეს, არამედ უფრო მეტის შეგნებით, უფრო მეტის სიყვარულითა და გრძნობით ემსახურება მას. მეც, როგორც ქართველი ებრაელი, მონივნით ვიდრეც თავს დიდებულ მკოსნის აჩრდილის წინაშე, აგრეთვე იმედი მაქვს, რომ სხვა ქართველი ებრაელებიც გამოსთქვამენ თანადასრულდა შოთას ძეგლის შესახებ და თავის მოძმე ქართველებს ამოუდგებიან გვერდში.“

შოთას ძეგლი იქნება ნათელი საბუთი იმისა, რომ შოთას აჩრდილი ვერ დაჩრდილა საუკუნეთა მთელმა ქედმა.“

სამწუხაროდ, 1887 წლიდან მოყოლებული 1915 წლამდე ქართულ პრესაში უშუალოდ ებრაელთა ავტორობით სხვა რაიმე მასალა აღარ დაბეჭდილა. 1915 წლიდან კი, სამოღვაწეო ასპარეზზე რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიღებული ქართველი ებრაელების გამოსვლის შემდეგ, ვითარება არსებითად იცვლებდა და ჩვენს პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად ქვეყნდება

ქართველ ებრაელ ავტორთა პუბლიცისტური წერილები და მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც უაღრესად საინტერესოდაა წარმოჩენილი როგორც საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელთა, ისე ქართველი ხალხის იმჟამინდელი ყოფის საჭირობოროტო საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ მათი პუბლიცისტური ნაწარმოები იმხანად გამოძვალა თითქმის ყველა ქართული ჟურნალისა და გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა შეუზღუდველად, ყველაზე მეტ აქტიურობას ამ თვალსაზრისით მაინც „სამშობლო“, „ჩვენი მეგობარი“, „ჩვენი ქვეყანა“, „სახალხო საქმი“, „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და „ტრიბუნა“ იჩენდნენ.

მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან ქართველ ებრაელთა ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების აქტიურად დაწყება მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, იგი წარმოადგენდა პირდაპირ გამოძახილს იმ დადებითი პროცესებისა, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობდა აქტიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ებრაელთა ყოფაში. ამ დროიდან მოყოლებული, ებრაელი ხალხი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ძალით იწყებს ბრძოლას ეროვნული ინტერესების დასაცავად და საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ამ ბრძოლის გამძაფრებას დიდად შეუსწო ხელი პირველმა მსოფლიო ომმა.

ქართველი ებრაელობის ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებაზე ასევე კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინეს იმ მოვლენებმა, რომლებიც იმხანად განვითარდა საქართველოში. კერძოდ, აზროვნების შედარებითმა თავისუფლებამ, მსოფლმხედველობრივად განსხვავებული პარტიების თანაარსებობამ, ქართული მწერლობის, პრესისა და პუბლიცისტის მალაღმა დონემ, ქართველი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე შვილების დიდმა დაინტერესებამ ეროვნული, მათ შორის, ებრაული პრობლემებით და ა. შ.

არც ის ფაქტი ყოფილა შემთხვევითი, რომ პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთი „ხმა ებრაელისა“ ქუთაისში გამოიცა. ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ქართველ ებრაელთა ციტადელად სახელდებულ ამ ქალაქში ებრაელთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიასპორა იყო. და, მეორეც, იმხანად, მეოცე საუკუნის ათიანი წლებში, ქუთაისი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ერის სახელოვანი შვილები. ყოველივე ამან, როგორც ითქვა, დიდად შეუნყო ხელი ქართველი ებრაელობის ეროვნულ-ინტელექტუალურ გამოვიწხოვებას, რასაც შედეგად 1918 წელს აქ პირველი ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემა მოჰყვა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოადგენა შეგვექმნეს იმხანად მოღვაწე ქართველ ებრაელ ავტორთა პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობის მასშტაბებზე, აქ მათ არასრულ სიასაც დავასახელებთ (სამწუხაროდ, ჩამოთვლილთაგან ბევრი მათგანის შესახებ ჯერ-ჯერობით იმდენად ცოტა რამაა ცნობილი, რომ ზოგიერთის სახელიც კი უცნობია): დავით ბააზოვი, მიხაკო ხანანაშვილი, იოსებ ხანანაშვილი, გერცელ ბააზოვი, მოშე დავარაშვილი, ნათან ელიაშვილი, მოშე მიმშილაშვილი, იოსებ ელიგულაშვილი, ილია ებრაელიძე, დიტო კრიხელი, შავათა რიჟინაშვილი, დანიელ აჯაიშვილი, სტ. ელიგულაშვილი, ე. ელიაშვილი, მ. თავდიდშვილი, გ. თავდიდშვილი,

ბ. კაკიტელაშვილი, ი. მოშიაშვილი, გ. ფიჩხაძე, ფ. მიმშილაშვილი, ა. ხანანაშვილი და სხვები.

მიუხედავად მეტ-ნაკლებად საგულისხმო იმ დამსახურებისა, რომელიც დასახელებულ ებრაელ ავტორებს მიუძღვით შესაბამისი პერიოდის ქართველი ებრაელების ყოფასთან დაკავშირებულ საჭირობოროტო საკითხთა წარმოჩენის საქმეში ქართული პრესის ფურცლებზე, მათ შორის ლიდერის როლს უწინარეს ყოვლისა მაინც დავით ბააზოვი (1883-1947 წწ.) ასრულებდა. არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ებრაელთა ეროვნული, რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო თვითშეგნების ამაღლებისა და განმტკიცების საქმეში მან ისეთივე როლი შეასრულა, რაც ილია ჭავჭავაძემ ქართველი ერის ისტორიაში.

და ბააზოვის აქტიური რელიგიური, საგანმანათლებლო და ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული მის პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან. ქართული კულტურის ისტორიაში ის იმ პირველ დიდ ებრაელ პუბლიცისტად მოგვევლინა, რომლის ცვალებადი შემდგომში არაერთი ებრაელი მწერალი და პუბლიცისტი შემოემატა ჩვენს ლიტერატურას.

სამწუხაროდ, ქართველ ებრაელ ავტორთა პუბლიცისტის ნიმუშები, რომლებიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს დიდ-მნიშვნელოვან პირველწყაროებად შესაბამისი პერიოდის ქართველ ებრაელთა ისტორიის შესასწავლად, იმდროინდელი პრესის ფურცლებზეა მიმოხეული და ნაკლებად ცნობილი არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი.

ქართველ ებრაელთა პუბლიცისტურმა მოღვაწეობამ ახალი მასშტაბები შეიძინა საქართველოში გამოცემული პირველი ქართულენოვანი გამოცემების - „ხმა ებრაელისა“ და „მაკაველის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გაზეთი „ხმა ებრაელისა“ რომელიც ქართველი ებრაელობის ეროვნულ-ინტელექტუალური გამოღვიძების პირველ ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს, 1918 წელს გამოიცა ქუთაისში. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (სულ გამოიცა შვიდი ნომერი), მის ფურცლებზე მაინც მოესწრო დასამულიყო არაერთი მწვავე ეროვნული პრობლემა.

გაზეთი კოლექტიური მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენდა და მისი გამოცემელი იყო ქუთაისის სიონისტთა ორგანიზაციის სახალხო ფრაქცია - «ცეკერი ციონი», უშუალო ხელმძღვანელი - სარედაქციო კოლეგია. „ხმა ებრაელისა“ სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: სოლომონ ციციაშვილი, დავით ბააზოვი, ბენიამინ კაკიტელაშვილი და ისაკ მინოვიჩი (პ. ბააზოვი). გაზეთის რედაქტორი ყოფილა სოლომონ ციციაშვილი.

გადაწყვეტილება საქართველოში ქართულენოვანი ებრაული გაზეთის გამოცემის შესახებ მიუღიათ ბაქოში 1917 წლის 21 აგვისტოს გამართულ კავკასიულ სიონისტთა კონფერენციაზე, რომელსაც საქართველოდან, როგორც დელეგატი, ესწრებოდა დ. ბააზოვი.

მიუხედავად იმისა, რომ „ხმა ებრაელისა“ პირველი ქართულენოვანი გაზეთი იყო და მის შემქმნელებსა და ავტორებს, რომლებიც - უკლებლივ ყველა - ებრაელები იყვნენ, ამ კუთხით არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, თავისი ჟურ-

ნალისტური დონითა და პრობლემათა მრავალმხრივობით იგი საკმაოდ მაღალი დონის პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები შინაარსობრივად შეიძლება შემდეგ ძირითად მიმართულებებად დავაჯგუფოთ: 1). ზოგადებრაული პრობლემებისადმი მიძღვნილი წერილები, რომლებშიც საუბარია ებრაელი ხალხის ისტორიასა და თანადროულ ყოფაზე, სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე, ანტი-სემიტულ ფენომენზე, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების როლზე ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეში და ა. შ. 2). საგანმანათლებლო ხასიათის სტატიები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქართველი ებრაელობისთვის აუცილებლად საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ებრაელი ხალხის შესახებ. 3). საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა საჭირობოროტო პრობლემებზე საუბარი.

1924 წელს, „ხმა ებრაელისა“ გამოცემის შეწყვეტიდან ექვსი წლის შემდეგ, ამავე რედაქციის თბილისში, გამოსვლას იწყებს ახალი ქართული ენოვანი ებრაული გაზეთი - „მაკაველი“. მიუხედავად იმისა, რომ იგი მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოდიოდა (გამოიცა სულ სამი ნომერი), „მაკაველი“ მაინც შედლო რამდენადმე მაინც გამოეხატა ქართველ ებრაელთა ეროვნულ-მისწრაფებანი და გარკვეული წარმოდგენა შეექმნა იმჟამინდელი მათი ყოფისათვის დამახასიათებელ საჭირობოროტო საკითხებზე.

მართალია, გაზეთს ხელს სარედაქციო კოლეგია აწერდა და მის რედაქტორ-გამომცემელთა ვინაობა პერსონალურად არ იყო გამოცხადებული, მაგრამ, როგორც სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალებიდან ირკვევა, „მაკაველის“ დამფუძნებელნი და რედაქტორ-გამომცემელნი იყვნენ დავით და გერცელ ბააზოვები და ნათან ელიაშვილი.

სარედაქციო კოლეგიის განმარტებით, „მაკაველი“ ქართველ ებრაელთა ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ორგანო იყო. მართალია, იგი ქართულენოვან გამოცემას წარმოადგენდა, მაგრამ პირველ, სატიტულო, გვერდზე მისი სახელწოდება ებრაულადაც იყო დაბეჭდილი. სარედაქციო კოლეგია გაზეთის გამოცემის თარიღს ებრაული ნელთალრიცხვითაც უთითებდა. კერძოდ, პირველ ნომერზე 1924 წლის 24 თებერვალთან ერთად ებრაული ქრონოლოგიით 5684 წლის 18 ადარიც იყო აღნიშნული.

ქართველ ებრაელ პუბლიცისტთა მიერ გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში დასმულ უმთავრეს პრობლემათა არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, ქვემოთ შევცდები მოკლედ და რამდენადმე განზოგადებული სახით წარმოვაჩინო ხსენებული პერიოდის მათი პუბლიცისტური მემკვიდრეობის უმთავრესი მიმართულებანი.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქართველ ებრაელთა რელიგიასთან, სწავლავანათლებლასა და კულტურულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭირობოროტო-საკითხების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე არაერთმა ქართველმა ებრაელმა გამოაქვეყნა წერილები იმხანად, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ აქტიურობას დავით ბააზოვი იჩენდა. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღეებიდან მოყოლებული, თავისი წერილებით დ. ბააზოვი, როგორც განმანათლებელმა, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ ებრაელთა ინტელექტუალური გამოცოცხლებისა

და ეროვნული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

ამ თვალსაზრისით დ. ბააზოვის სამომავლო ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის განზოგადებულად წარმომჩენ საპროგრამო პუბლიკაციად ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ გაზეთ „სამშობლოს“ 1915 წლის 30 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მისი პირველი პუბლიცისტური წერილი „ებრაელის ამონაკვეთი“, რომლითაც მან, ქართველ ებრაელთაგან პირველმა, აქტიურად ცადა მრავალსაუკუნოვანი ინტელექტუალური უმოქმედობისაგან გამოეყვანა თავისი მოძმეები და ფართო საზოგადოებისთვის ნათლად დაენახებინა მათი ჭირ-ვარამი. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმონტებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „მივმართავ და შევეკითხები ჩვენს თანამოძმე შეძლებულ ებრაელებს:

სად ხართ, მდიდრებო, რატომ არ მიხედავთ თქვენს თანამოძმეებს, დღეს გაჭირვებულთ, სად ხართ, ღარიბნო ებრაელებო, რატომ შუა არ გაუყფოთ თქვენს ხმელ პურს ჭირში მყოფ ჩვენს ძმებს? სად ხართ ებრაელო ქალებო, რატომ არ მოიხდით თავზე საფარს და არ გაუზავებით თქვენს ტიტველ დებს... სად ხართ, რაბინებო, თქვენნი ქადაგებით? თუ ხალხს უქადაგებთ ბიბლიის სიტყვებს, ერთი რომ ნაიქცეს, უნდა მიუშველოთ და ფეხზე დააყენოთ. თუ ასე უნდა მოვექცეთ ერთ ნაქცეულს, მთელი ერი როცა ნაქცეულია, ნუთუ იმას არ უნდა მიშველება და ფეხზე დაყენება?“

ალბათ არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ებრაელთა ეროვნული, სოციალური და კულტურულ-ზნობრივი პრობლემები ასეთი სიმწვავეთა და მასშტაბურობით მანამდე ასე საჯაროდ და წერილობითი ფორმით არც ერთ ებრაელს არ გამოუხატავს. ასე რომ, პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით უსათუოდ უნდა მივაკუთვნოთ დ. ბააზოვს, რომელიც ქართველ „სამოციანელთათვის“ დამახასიათებელი პირდაპირობითა და მამულიშვილური გულშემატკივრობით წარმოაჩინეს თავისი მოძმეების ყოველდღიური ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელ საჭირობოროტო პრობლემებს.

ახალგაზრდა პუბლიცისტის ეს მოწოდება არ განხილვებულა და მას იმთავითვე მოჰყვა ფართო გამოხმაურება არა მარტო თავად ებრაელთა შორის, არამედ ქართველ მოღვაწეთა მხრიდანაც. ამ თვალსაზრისით პირველი ბანძელ ებრაელთა სულიერი ლიდერი დ. აჯაიშვილი იყო, რომელმაც პალესტინელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „წერილი ონის ებრაელობის რაბინ დ. ბააზოვისადმი“ („სამშობლო“, 1915 წ. 116, 117, 118) დ. ბააზოვის მიერ წამოწყებულ საუბარს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა და ახალგაზრდა თანამოაზრის მოთხოვნებს ამ სიტყვებით დაუჭირა მხარი: „წავიკითხე თქვენი მოწოდება, ბ. რაბინო, ქართველი ებრაელებისადმი, რომლითაც მოითხოვდი, დახმარებოდნენ გაჭირვებაში მყოფთ ჩვენს მოძმეებს.

ვისი ქვის გული არ გალღვებოდა ამ მოწოდების წაკითხვის შემდეგ. გულქვა უნდა იყოს ის ებრაელი, ვინც ეს მოწოდება წაკითხა, ან მისწვდა ყურთა სმენათ და ათროლოებულ არ ატირდა. სამწუხაროდ, ქუთაისის ებრაელები კი გულგრილად შეხვედრიან ამ სისხლის ცრემლებით დაწერილ მოწოდებას. გავიგე ისიც, რომ არც ერთ სასულიერო წოდების პირს, არც ერთ ინტელიგენტს, არც ერთ მდი-

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)



უბრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიალელი უნაურ ზალგანის თეოსოფია

იცხაკ ღავიძე

(ბაბრქელია. ღასაწმისი ოხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12, 2013; №10, 2014)

ზოჰარ (ბრწყინვალება) შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს მსოფლიო მისტიკურ-თეოსოფიური ლიტერატურის თვალმარგალიტად. რამდენადაც მასში შესანიშნავადაა შერწყმული ფილოსოფიურ-პოეტური აზროვნება ისეთ მაგიურ მოძღვრებებთან, როგორცაა ქირომანტია, ასტრონომია – განვრცობა ბუნებაში.

მთელი ამ სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს ერთი მხრივ მიფარული, შეუნვდომელი ღვთაების ათიკა დე-ათიკინ-ის ცნება, ხოლო მეორე მხრივ, ცნება ყოფიერების აბსოლიტური ერთიანობისა.

ფილოსოფიური კონტროლერსია აბსოლიტურად ერთიანი და მიუნვდომელი სანყისიდან მრავალფეროვანი ყოფიერების წარმოშობის შესახებ აიხსნება აბსოლიტურად ერთიან არსში შემოქმედი ფაქტორების პოტენციალური სიმრავლის თანდაყოლილი არსებობით.

უზენაესი აინ-ი ანუ ენ-სოფ-ი (უსასრულობა) მოიცავს ყველა აბსოლიტურად შესაძლებელ ყოფიერებით ფორმას, რაც წარმოიქმნება და არსებობს ათი სეფირ-ის მეშვეობით, რომელთა ერთობლიობაშიც (პირვანდელი ადამიანის ჩათვლით სრულად გამოიხატება უსასრულობა ვითარც მოვლენა.

სეფირ-ები ღვთაებრიობის იდეებისა, ანუ შინაარსს შეიცავდნენ. ადამ ჰაკადმონ-ი ანუ პროტო-ადამიანი (ლოგოსის ექვივალენტი) განასახიერებს ყოფიერების აბსოლიტურ იდეას, რომლის მინიატურულ ან-არეკლს მინიერი ადამიანი წარმოადგენს.

ხსენებული ათი სეფირა, ღმერთის წარმომავალი სინათლის სხვადასხვა ნიუანსს რომ შეიცავენ, არ არიან დამოუკიდებელი და მოკლებულნი არიან პოზიტიურ არსებობას. ისინი მხოლოდ ღმერთის ატრიბუტებს, მის გამოვლენებს შეადგენენ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ შუამავალ რგოლთ, რომლებიც ერთის მხრივ, აარსებებენ ქვემოთ წარმონაქმნარ ყოფიერებას, მეორეს მხრივ, იცავენ მას.

უზენაესია (ქათარა ილაა)-თაჯი, საერთოდ ყოფიერებას რომ განასახიერებს და პირველადი წერტილია, ყველა დანარჩენ სეფირ-ებს რომ შეიცავს. მისგან გამომდინარეობს (ხოხმა) – სიბრძნე, ანუ (აბა) – მამისეული სანყისი, რამდენადაც ესაა მთელი ყოფიერების აქტიური სანყისი 32 სიბრძნისეული ბილიკით, რომ აკუთ-

ვნებს ზომას ყველასა და ყველაფერს. მასთანავეა პასიური სანყისი (ბინა) – გონება ანუ დედისეული სანყისი. ისინი დიალექტურ თეზისსა და ანტითეზისს შეადგენენ. ერთიერთს ანაყოფიერებენ და სინთეზირდებიან დაათ-ში (ჭკუა). ყოველივე ეს მატერიალურ სამყაროს იქითა (მეტაფიზიკური) ინტელექტის დონეა.

ანალოგიური ტრიადული პრინციპით განისაზღვრება დანარჩენი სეფირთ-ის ურთიერთმიმართებითი სტრუქტურაც: გედულა (სიდადე) და (გვეურა) – ძლიერება სინთეზირდებიან თიფერეთ-ში (მშვენიერება, სილამაზე), რაც იდრა ზუტა-ს გაგებით ზნეობრივი სრულყოფილების დონეს შეადგენს.

მესამე ტრიადა უნივერსალური დინამიური თვისებების შემცველია მამრ. ნეცახ (მარადიულობა) და დედრ. ჰოდ (მარავანდელი) თანაერწყმიან ისეოდ-ში (საფუძველი), რაც მთელი ნივთიერ-ფიზიკური ყოფიერებით სამყაროს უშუალო კრეატორია.

უკანასკნელი სეფირა (მალხუთ) – ხელმწიფობა ყველა ზემოხსენებული სეფირ-ის განუწყვეტელი იმანენტური მოქმედებაა და ამდენად ღვთაებრივის განსახიერება-განვრცობა ბუნებაში.

ემანაციის (აცილუთ)-ის სამყაროს ათი სეფირა-დან წარმოიქმნენ ქურსაია (ტატახნი), ბრია – გაჩენა, იეცირა – განსახვა და ა.შ.

ზოჰარის მიხედვით, უზენაესი ადამ ჰაკადმონ-ი წარმოადგენს ეტლს, რომელიც იჭკპ-ს სახით – სახიერებით (ცელემ) განისაზღვრა, რათა შეეცნოთ ის ატრიბუტების მიხედვით, თუმც ეს ატრიბუტები არ არიან მისი იდენტურნი.

ისაა (ილათ ჰაილოთ) ანუ მიზეზთა მიზეზი. ათი სეფირა-ს განმსახავ პირველ სეფირა-ში უსასრულო წყაროსეული სინათლე უფორმოა და შეუცნობელი, შემდეგ იქმნება მეორე ჭურჭელი (ხოხმა), შემდეგ კი დიდი ჭურჭელი (ბინა) ანუ ზღვა, რომლისგანაც შვიდი მდინარე გამოედინება (შივ'ა ნახალინ), შვიდ მნოშენლოვან ჭურჭელს რომ ქმნიან: გედულა+ვეურა+თიფერეთ, ნეცახ+ჰოდ-იესოდ და მალხუთ, (იხ. ზოჰარ, ნან.2.42 43ა).

ზოჰარისეული კოსმოლოგია თანმიმდევრულადაა მონოთეისტური. მატერიალური და სულიერ-ყოფიერებითი სხვაობა შემთხვევითია და არა ძირითადი იმის მიხედვით, თუ რა მანძილითაა დაშორებული ესა თუ ის სეფირა თავის პირველწყაროს (მაკორ) უზენაეს ქეთერ-ს ანუ თაჯს.

სეფირ-ები ერთი მეორისაგან გამომდინარეობენ და დაღმა-სვლის (ჰიმოთალშელუთ) პროცესში ისინი თანდათან ჰკარგავენ პირვანდელ სინძინდესა და გამჭირვალობას, იცვ-

ლიან ფერს, იკუმშებიან, დედებიან უსასრულობადე – მატერიალური ყოფიერითი სამყაროს წარმოქმნამდე, რომლის უკანასკნელი სეფირა (მალხუთ) უკვე შეიცავს ბოროტების თესლს.

როგორც იქნა უკვე აღნიშნული ადამიანის სულიც ტრიადისეულია ნეფემ - ცხოვლიერია, რუახ - ზნეობრივი, ნეშამა – გონიერი. ამასთან სულს სტრუქტურულად ათი პოტენცია გააჩნია და მამრ.+დედრ. სანყისები.

სული არის უნივერსალური ყოფიერება, ყველაფერი ის, რაც არის არსებადი სრულყოფილებასა და მთლიანობაში.

სულის წყაროა – მსოფლიო სული ანუ ღვთაებრივი სიბრძნე, რის გამოც იგი ყველა ღვთ. ატრიბუტთანაა კავშირში და სუბსტანციალურადვე ენათესავება მათ. სულის დაღმა-სვლის მიზანია სამყაროსეულ ქმნადობაში მონანილეობა, თვით-განჭვრეტა საკუთარი წარმოშობისა და დაბრუნება საკუთარ წყაროში.

ამდენადვე, ადამიანის სული ნინასწარარსებადია ღვთიურ სულში და ადამიანური. შემეცნებაც მარადიულია. პითაგორული მეტემპსიხოზითაც სული გილგულ-დება (განიცდის გარდასახვებს) მანამ, სანამ არ განინძინდება სამუდამოდ.

ძირითად ეთიკურ-ზნეობრივ პრინციპს ღმერთის სიყვარული შეადგენს, რაც საფეხურიდან საფეხურზე აღსვლით მიიღწევა და ქოტურნი 7 ბოროტი სამყაროს დათრგუნვით, რომლებიც სეფირ-ების ძირთა ძირში — მალხუთ-ში სახიერდებიან, ვითარც ბოროტების შემცველ ფაქტორში.

ზოჰარ-მა და საერთოდ ებრაულმა მითოლოგიამ ობიექტურად გადამწყვიტეს მატერიალური სამყაროს წარმოქმნის საკითხი. გამოაცხადეს რა მალხუთისეული ყოფიერება უარყოფით ფენომენად, რომელიც ანტაგონიზშია, მაღლიერ. სულიერ ქვეყნიერებასთან, თუმც კი მისგანვეა წარმოშობილი ხსენებულისებრ.

ზოჰარისეული ესქატოლოგიური გაგებაც მეტ შუქს ჰფენს რიგ პრობლემატურ კონფესიონალურ საკითხს, მაგ. მაშიახ-ის (მესია) ფენომენი. მის შეყოვნება – არმოვლინებას ზოჰარი ხსნის იმით, რომ სამყაროსეული მატერიალური სხეულები დაკავებულნი არიან ერთი და იგივე სულების მეტემპსიხოზით, რის გამოც არაა შექმნილი წინაპირობა მაშიახის-ეული სული წარმოჩენისათვის, ამრიგად, დასკვნაც უცილობელია, საჭიროა სულიერ-ზნეობრივი თვით-განწმენდა.

ეგზეგეტურ-ალეგორიულად ზოჰარმა ბიბლია გამოაცხადა დასაიდუმლოებულ აზრთა რეზერვუარად, რამაც დასაბამი მისცა სხვა რელი-

გიათა მისტიურ ორიენტაციებსაც. ისეთი ნუმეროლოგიური მეთოდის, როგორცაა გემატრია, ნოტარიკონი, თემურა (ასოთჩანაცვლება) და ასევე ფ.რ.დ.ს-ი ზოჰარი ცხდილობს უზენაესი ღვთიური საიდუმლოს მიღწევა-სა და ამოხსნას.

პირველად ზოჰარ-ი ესპანეთში გამოჩნდა მე-13 ს-ის ებრაელი მისტიკოსის მოშე ბ. შემტოვ დელეონ გვადალახარელის მრავალრიცხოვანი გადანაწერების სახით. (1989 წელს ესპანეთში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციისას, შესაძლებლობა გვქონდა გავცნობოდით ზოგიერთ ასეთ ხელნაწერს).

ტრადიციის გადმოცემით, ხსენებული ტექსტი შედგენილ უნდა ყოფილიყო რ. შიმონ ბარ იოხაი-ს გამოქვაბულში ყოფნისას (იხ. მაგ. შაბათ-ის ტრაქტატი თალმუდ-ში 33ბ). ჩვენ მიგვაჩნია, რომ შინაარსობრივ-სტილისტური ქარგისა და საერთო სტრუქტურის მიხედვით, ზოჰარ-ი თავის ფილოსოფიურ-კონცეფტუალურ სანყისებს, აღმოსავლეთში, პალესტინა-მცირე აზია-კავკასიის გეოგრაფიულ ღერძზე იღებს, აქვე ფორმირდება და შემდეგ კი ვრცელდება დასავლეთის მიმართულებით.

ხსენებულ ვარაუდს უჭერენ მხარს გარემოებითი კორობორაციის თვალსაზრისით შემდეგი არგუმენტები:

1). ზოჰარისეული მისტოლოგია და ესქატოლოგიურ-მესიანისტური ტენდენციები სრულ ანარეკლს ჰპოვებენ იმ შორსმსვლელ იდეოლოგიურ-სულიერსა და სოციალურ-ეკონომიურ ძვრებში, რომლებსაც ადგილი ახლო აღმოსავლეთის ვრცელ არეალში ჰქონდათ (პალესტინა-შუამდინარეთი-კავკასია), და რომელთა ფონზეც ნათლად გამოიკვეთნენ ებრაულ-მესიანისტური მოვლენები და მიმართულებები.

2). საუკუნეების განმავლობაში სწორედ კავკასია-მცირე აზიის რეგიონებში არსდებოდნენ და არსებობდნენ ფილოსოფიურ-მისტოლოგიური სკოლები, რომლებიც სინკრეტულად რწყავდნენ იუდაიზმში მთელ რიგ არაებრაულ შეხედულებებსა და სისტემებს, რომელთა ბრწყინვალე კვინტენსენცია განხორციელდა 1300-იან წლებში, ცნობილი სწავლულისა და რაბის იეშაია (იეჰოშუა) ბ. იოსეფ თბილისელის კაბალისტურ ნაწერებში, რასაც დანვრილებით ქვემოთ შევეხებით.

3) საკუთრივ ზოჰარ-ის ტექსტი რ. მოშე ბ. ნახმანმა (ნახმანიდი)(1194-1270) მოიძია პალესტინაში და აქედან გადაგზავნა კატალონიაში. ე.ი. ზოჰარის ტექსტი თავდაპირველად სწორედ პალესტინაში იყო მოარულ-გავრცელებული. ასე რომ, როცა 1305 წელს ნახმანიდის მოწაფე რ. იცხაკ აქოელი ესპანეთში ჩამოვიდა,

რას ვპიოხ ულობთ ამ კვირაში?
რაბინის კუთხე



ავიშელეხ როზენბლატი

იცხაკის მსხვერპლთშენიერვა

თორა გვეუბნება, რომ „იყო ამ სიტყვების შემდეგ და გამ-ნი მოვიდა აბრაჰამის გამოსაცდელად“ და ეს გამოცდა იყო იცხაკის, მისი შვილის, ზეცად აღვლენის გამოცდა. მაგრამ რა სიტყვების შემდეგ? რაში გვიხსნის, რომ შესაძლოა, ეს სატანის სიტყვების შემდეგ მოხდა. სატანამ აბრაჰამი დაადანაშაულა იმაში, რომ ამდენი ტრაპეზის გამკეთებელს ერთი ხარი მაინც უნდა შეენიერა გამ-ნისათვის. გამ-ნმა კი უპასუხა სატანას, რომ აბრაჰამი ამას ვაჟის გამო აკეთებდა და მისთვის რომ იცხაკის მსხვერპლთშენიერვა ეთხოვა, აბრაჰამი ამას გააკეთებდა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ გამ-ნმა აბრაჰამი იმშაელის სიტყვებისა და იცხაკის პასუხის შემდეგ გამოსცადა. იმშაელი იცხაკს ეუბნებოდა, რომ მასზე მაღლა დგას იმით, რომ წინადაცვეთა ცამეტი წლის ასაკში გაიკეთა და ეს არ გააპროტესტა. იცხაკმა ამაზე უპასუხა: „შენ ერთი ორგანოთი ტრაპეზობ, მე კი შევენიერებოდი გამ-ნს, მას რომ ეს მოესურვებინა და ამის საწინააღმდეგოდ არაფერს ვეტიყოდი“. ანუ „აკედათ იცხაკ“ გვიჩვენებს იმშაელთან მიმართებაში იცხაკის განსაკუთრებულობას, ანუ თუ რას წარმოადგენს ებრაელი ხალხი, ან - იცხაკის ექსკლუზიურობას სატანის მიმართ, ანუ რას წარმოადგენს ებრაელი „იეცერ ჰარას“ წინააღმდეგ.

ეს არის დრამაში ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არსებობს ფშატი (მარტივი ახსნაც). ის გვეუბნება, რომ გამოცდა (ნისაიონ) სიცოცხლის გაგრძელებაა. ის არასოდეს მოდის მოულოდნელად. რა უძღვის წინ სიტყვებს „იყო ამ სიტყვების შემდეგ და გამ-ნმა უთხრა აბრაჰამს“? ის, რომ აბრაჰამმა „გააშენა ეშელ“ ბერ შევაში და მას გამ-ნის სახელით მოიხსენიებდა. რას ნიშნავს „და

კ
ა
ს
ა
რ
ა
ბ
ი
ნ
ის
კ
უ
თ
ხ
ე

მას გამ-ნის სახელით მოიხსენიებდა“? აბრაჰამი ყველაფერში წარმატებული იყო, მან ყველაფერს მიაღწია, რაც სურდა. ის ავიდა ერეც ისრაელში და გამ-ნის არსებობას, მის ცოდნას ავრცელებდა და თავადაც ამავე რწმენით ცხოვრობდა. მან შეიცნო გამ-ნის მეფობა ყველაფერზე. ის აკეთებდა იმას, რისთვისაც ადამიანია შექმნილი, რაშიც მისი არსია. კარგი, მაგრამ რისთვისაა გამოცდა? ის იმი-სათვისაა, რომ ადამიანი გადავიდეს სხვა სიმაღლეზე, გაიზარდოს სულიერად. ხასილდუთში არის ასეთი ცნება: „ეგვიპტიდან (მიცრაიმის) გამოსვლა სინმინდემი“, ანუ ერთი სულიერი საფეხურიდან მეორეზე ასვლა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სულიერი დონე, რომელზეც ადამიანი იმყოფება მოცემულ მომენტში, შეიძლება იყოს მიცრაიმი შემდგომი საფეხურისათვის. მიცრაიმი კი ნიშნავს „შეზღუდვას“, „სივიწროვებს“. ანუ, თუ შენ ამ დონეზე დარჩი და მხოლოდ იქიდან „...უნოდებ გამ-ნის სახელს“, შენ აუცილებლად გამოცდა გელის. ის კი მოდის მაშინ, როცა არ ელი. „ნისაიონ“-ის საწყისი ფორმაა „ლენასოთ“, რომელიც წარმოქმნილია სიტყვიდან „ანევა“, „ამალღება“. მაგრამ სადამდე შეიძლება აბრაჰამის ამალღება? ამის პასუხია – საუკეთესო, ამალღებულ თვისებებამდე. უმაღლეს თვისებებში ყველაფერი გაერთიანებულია, იქ არ არსებობს წინააღმდეგობა, იქ წინ და მარცხნივ გაერთიანებულია. ეს ერთიანობა მხოლოდ დაბალ ფენებში იყოფა მარჯვენად და მარცხენად. გამოცდაც ამაშია, რომ იქ, ზევით ავიდეთ. თუმიცაღა, გამ-ნისათვის არც დაბლა არსებობს წინააღმდეგობები, მისთვის ხესელი(გულმონყალება) და გვურა(სიძლიერე, გმირობა) ერთი და იგივეა.

რაში მდგომარეობს გამოცდა? ადამიანის შიგნით სატანი ზის, რომელიც ამბობს „შენ ამბობ, რომ ყველაფერი ერთიანია?“ მაშ ესა და ეს როგორაა?“ მიდრამი „ტანხუმა ასე აღგვიწერს ისტორიას, როდესაც აბრაჰამი და იცხაკი მორიას მთისკენ მიდიოდნენ იცხაკის მსხვერპლთშენიერვად: „მოვიდა სატანა და გამოეცხადა აბრაჰამს მოხუცის სახით. „შენ არ გაქვს შენი შვილის მიმართ გულმონყალება? იცხაკს კი ახალგაზრდის სახით ერვენა და უთხრა: „აბრაჰამი უკვე მოხუცია და აღარ ახსოვს ყველაფერი“. ჩვენი შეცდომა იმაშია, რომ სატანა რალაც ურჩხული გვგონია. ის კი, ამ დროს, რალაც სასიამოვნო რამაა ჩვენში. სატანა ამბობს, მიდით გავყოთ, ამას ორი მხარე აქვს. მართლაც ასეა, მაგრამ ორივეს ერთისაკენ მივყავართ.

აბრაჰამს ცდიან მაშინ, როდესაც მას სამყარო გამ-ჩენის შეცნობამდე მიყავს. სამყაროს კი უჩნდება კითხვა – რატომ? ეს როგორაა შესაძლებელი?

როდესაც გამ-ნი აბრაჰამს მიმართავს, მას ეკითხება: „სად ხარ“, აბრაჰამი კი პასუხობს „ჰინენი“ – აქ ვარ. გავიხსენოთ, როდესაც ადამმა შესცოდა, გამ-ნი ეკითხება მას: „აეკა“ – სად ხარ? რისთვის ხდება ეს? გასაგებია, რომ სამყაროში არსებობს წარმოსახვითი დაყოფა, მაგრამ შენ

სად ხარ? შენ ერთი ხარ, თუ გაიყავი? ამასვე ემსახურება სიტყვები შმა-ს ლოცვაში „ბეხოლ ლევავება(მთელი გულებით) – ანუ ადამიანს ორი იეცერი აქვს – კარგი და ცუდი, მაგრამ ის სინამდვილეში ერთიანია.

აბრაჰამმა გამ-ნის კითხვაზე „სად ხარ? უპასუხა – „ჰინენი“ – ანუ მე მთლიანად აქ ვარ. ამის შემდეგ გამ-ნი ეუბნება მას, რომ თავისი ვაჟი, ერთადერთი, რომელიც უყვარს, იცხაკი წაიყვანოს მორიას მიწაზე და შენიროს იგი როგორც „ყოლა“ – სრულიად დასაწველი მსხვერპლი ერთ-ერთ მთაზე, რომელზეც მიუთითებს თავად გამ-ნი. უკვე ჰქონდა აბრაჰამს გამოცდა მაშინ, როდესაც გამ-ნმა უთხრა „ლენ ლება“ – წადი შენსკენ, როდესაც ურქასდიმიდან ხარანში და იქიდან ისრაელის მიწაზე წაიყვანა. და, ახლა, სად და საიდან უნდა წავიდეს? უნდა მივიდეს იქ, სადაც ჩანს, რომ გამ-ჩენი ერთიანია. ანუ, გამ-ნი ეუბნება აბრაჰამს, თუ შენ ამბობ, რომ ყველაფერი ერთიანია, მაშინ, როცა იცხაკს შენ შვილად აღიქვამ, თქვენ ორნი ხართ. მაშ, აიყვანე შენი შვილი და წადი მორიას მიწაზე და აღავლინე ის მსხვერპლად. ანუ აღავლინე საკუთარი თავიც და ისიც პირველწყაროსთან. თორის კომენტატორი რამბამი წერს, რომ მორია ნიშნავს „ემორ“, ანუ ეს ის ადგილია, სადაც ბავშვებს სწირავენ მსხვერპლად. წადი და შესწირე „ყოლა“ – ყოვლად დასაწველი მსხვერპლი, ანუ სრულიად შესწირე გამ-ჩენს, ანუ წადი იქ, სადაც მკვეთრად ჩანს დაყოფა. მიდი იქ, და შესწირე ერთიანად, ერთად.

ნათქვამია, რომ აბრაჰამი დილით ადრე ადგა და ვირი შეკაზმა. ჩვენ ვიცით სამი ადამიანის შესახებ, ვისაც ყავს ვირი. აბრაჰამს, მოშე სვამს თავის მეუღლეს, ციფორას ვირზე და მაშიახი მობრძანდება ვირზე ამხედრებული. სული ამ სამყაროში მოდის იმისათვის, რომ ამალღდეს. თუ ის მდებარე ადგილზე ხვდება, მაშინ არის რალაც, რაც იქიდან უნდა აამაღლოს. მორიას მიწა – დაბლობი ადგილია. მთაც არაა მაღალი. აბრაჰამი მიდის იმ მიწიდან, სადაც ყველაფერი დაყოფილია იმისათვის, რომ გააერთიანოს და აამაღლოს. ემორის მიწა გადააქციოს „ემორ“-ად – გამ-ნის საკმევლად. ამიტომაც ადგა ის დილაადრიანად. რატომ გააკეთა ეს კიდევ? იმიტომ, რომ ეს ის დროა, როდესაც ღამე და დილა, სიბნელე და სინათლე, უერთდებიან ერთმანეთს, ერთიანდებიან, ერთ მთლიანად იქცევიან. მისი მეორე ამოცანაა ვირის შეკაზმვა. სამყარომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია იმ დონემდე, რომ ვირზე ამხედრებულმა იარონ ადამიანებმა, ანუ მოთოკონ საკუთარი მატერიალური მოთხოვნილებები. ჯერ კიდევ ყველაფერი ინყება. ჯერ არსებობს სამყაროში ხამორ (ვირი), ანუ „ხომერ“ – მატერიალური. მაშიახი მოდის არა ცხენზე, არამედ ვირზე ამხედრებული. აბრაჰამმა უნდა აიღოს ხომერი – მატერია და აამაღლოს ის.

რაბი მორდეხაი ალონის ლექციის მიხედვით.

მან მოინახულა მოშე დე ლეონი ვალ-იადოლიდში და სთხოვა ეჩვენებინა ზოჰარის დედანი. ფაქტიურად, პალესტინური წყარო.

მოვლენათა შემდეგი განვითარებაც არ იყო ინტერესსმოკლებული. დე ლეონმა აღუთქვა იცხაკ აქოელს, რომ დედნის ხელნაწერს ქ. ავილაში აჩვენებდა, სადაც საოჯახო არქივში ინახავდა მას. გზაში იგი გარდაიცვალა და როცა მისი ცოლშვილი იქნა გამოკითხული დედნის თაობაზე, მათ რატომღაც (შესაძლოა, არ სურდათ მისი დათმობა) განაცხადეს, რომ ხსენებული ხელნაწერი თვით მოშე დე ლეონისა იყო და თითქოს მხოლოდ იმის გამო მიაწერა პალესტინელ თანა რაშბი'ს, რომ მეტი ფასი და ღირსება შეემატებინა ტექსტისთვის.

ასე და ამრიგად, ჩვენი მტკიცე ვარაუდით, ზოჰარისეული დედანი სწორედ ახლო აღმოსავლეთში უნდა ყოფილიყო შედგენილი. ძნელია განვსაზღვროთ იმ ავტორ-შემთხვეველთა ვინაობა თუ რაოდენობა, რომლებმაც ეს შესანიშნავი ნაწარმოები

შექმნეს, ამ მხრივ მთავარ ტექსტულ-ბეზსა და ლეგენდებს რიცხვიც კი არა აქვთ. ერთი რამ ცხადზე ცხადია, დროთა განმავლობაში ებრაულთმეტყველების საერთო მდინარებაში, მოყოლებული ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნაზე – თალმუდმა, -აი, კაბალა-ზოჰარმა ის მესამე საფეხური შექმნეს კოლექტიური ცნობიერებისა, რომელიც მთელი ათასწლეულის მანძილზე მნიფდებოდა, როგორც ისრაელურ პალესტინაში, ასევე ებრაულ დიასპორაშიც.

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზოჰარი შეასაუკუნეების კოლექტიური ებრაული სულისა და ცნობიერების პროდუქტია, თუმცა ამ საკითხს შემდგომი შესწავლა-ანალიზი და დაკონკრეტება აუცილებელიცაა და მიზანშეწონილიც.

ყოველ შემთხვევაში, ზოჰარის მოხსენება საყოველთაო მოვლენა ხდება დაწყებული 1300-იანი წლებიდან: რ. იცხაკ აქოელთან (წიგნში „მეირათ 'ენაიმ“), რ. თოდროს აბუ-ლაფიასთან „ოცარ ჰაქავოდ“-ში

(1304), მენახემ რეკანატისთან და სხვებთან.

რაბი აჰარონ ბალდადელმა (შუამდინარეთიდან) გაავრცელა ზოჰარი ბალკანეთის ქვეყნებში, ჩრდ. აფრიკაში, თურქეთში და კავკასია-საქართველოში.

ზოჰარს მხოლოდ მომხრეები და მიმდევრები როდი ჰყავდა, მას კრიტიკულად განწყობილი ებრაელი თეოლოგებიც გამოუჩნდნენ, მაგ. რ. ლიშმანი — სეფერ ჰანიცახონ-ის ავტორი (1400), ილია დელმედიგო (ბეხინათ ჰადათ, 1496), იეჰუდა დე ოდენა (1640) და ა.შ.

აღნიშნულისამებრ, ზოჰარმა უდიდესი გავლენა იქონია ქრისტიანულ თეოლოგიურ წრეებზეც. 1558-1562 წლებში ჰაპის — პავლე მეოთხის ხელდართვით მანტუაში დაიბეჭდა ებრაული ზოჰარი. მიუხედავად ებრაელი რაბინების პროტესტისა, რომლებიც ზოჰარის ერეტიკოსობას ქადაგებდნენ, ასეც იყო მოარული გამოთქმა (ჰაიუნ ბეზოჰარ იავი ლემინუთ) ე.ი. „ზოჰარის შესწავლა ერეტიკოსობამდე მიიყვანს (კაცს)“.

ხსენებული თვალსაზრისი უარყო რ. იცხაკ დე ლატეტსმა, რომელიც ხაზს უსვამდა ზოჰარ-ის საერთო-საკაცობრიობო ბუნებასა და ხასიათს, კერძოდ კი იგი წერდა:

„... ჰაპის გონივრულმა სახელმწიფომ მოისურვა ამით (ზოჰარის დაბეჭდვით – ი.დ.). მოეშორებინა ის ეკალ-ბარდნი, რომლებიც არამეელს (იგულისხმება ქრისტიანობა) სთიშავს ისრაელისაგან, ისინი კი – რაბინები მოდიან, რათა ამოგლიჯონ ყოველივე და დაამხონ სამყარო“ (იხ. რესპონსები. ვენა, 1860. გვ. 126) შდრ. რ. ზარია დე როსსი იხ. საწინააღმდეგო აზრები რ. იაკობ ემდენ-ისა, რომელმაც სცადა ზოჰარის ცალკეული ნაწილების კრიტიკა და გვიანდელად გამოცხადება. მას გამოეკამათნენ მ. კაუნცი (1815), იცხაკ სატანოვი, შიმონ ჰალევი და სხვ. იხ. აგრეთვე: რაპოპორტი, ლანდაუერი, დ. ლუცატო, ა. ფრანკი გრეცი, იელინეკი, გინცბურგი, იოელი, გულმანი, ჰარქავი, ი. ბერლინი.

(გაგრძელება იქნება)

ცისანა ჯანაშვილი: ჩამი უამოქმედების მთავარი გიერი ქალია!



მან იცის, რომ ფიზიკურ არსებობას თავისი ზღვარი აქვს. ისიც იცის, რომ რასაც ქმნის ხელოვნების ნიმუშებსაც ფიზიკური კანონით საბოლოო ქამს გადადგურება ემუქრება.

ანაკალიფსის დღევანდებელი, შევლა არსაიდანა... მაინც ირჩევს ბრძოლას, შემოქმედებას, ყოველდღიურ სასტიკ ცხოვრებაში ბალანსის შენარჩუნებას და სასწაულის მოლოდინშია!

(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

დარს ამაზე ყურადღება არ მიუქცევია...

მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც იმას გავიმეორებ, რომ ქართველი ისრაელების გული იმდენად გაყინულია, არა თუ გაზაფხულის სითბო, არამედ ზაფხულის დამწველი მზის სხივებიც ვერ გაათბობს მას.

ხოლო გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა ია ეკალაძემ (იაკობ ცინცაძემ) გაზეთის 240-ე ნომერში დაბეჭდილ თავის გამოხმაურებაში დ. ბააზოვის ზემოთ მოხსენიებულ წერილს ამგვარი შეფასება მისცა: „ჩვენ ღრმად გვნამს, რომ ქართველი ებრაელობა უკვე შედგა გამოფხიზლების გზაზე და თავის წვრილ შეიტანს ქართველთა ცხოვრებასა და ლიტერატურაში. საქმე ნავის გატეხვა იყო. ეს ნავსი გატეხა და პირველი ჩაქუჩი რაბინმა დავით ბააზოვმა დაჭრა.“

ქართველ ებრაელთა მიერ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას მკითხველისთვის სიონიზმთან, პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს აღდგენასთან და ანტისემიტიზმთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაც წარმოადგენს. იმის გამო, რომ იმდროინდელი ჩვენი ებრაული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი სათანადოდ არ იყო გარკვეული აღნიშნულ მოვლენათა (განსაკუთრებით კი სიონიზმის) არსში, ეს საკითხები ებრაელ პუბლიცისტთა შორის ხშირად მწვავე პოლემიკისა და დაპირისპირების საგნადაც იქცეოდა ხოლმე.

ამ თვალსაზრისით უალრესად საინტერესოა ის დისკუსია, რომელიც დავით ბააზოვსა და მის

მომხრეებს გაუმართეს მათმა მონიშნულმდეგეებმა იმხანად. როგორც ცნობილია, დ. ბააზოვი სიონისტურ მოძრაობაში ადრეული ახალგაზრდობიდანვე, კერძოდ კი სლუცკის იემიბაში სწავლის დროიდანვე, ჩაება ძალზე აქტიურად. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას მისი ის წერილიც ადასტურებს, რომელიც მას მისი მასწავლებლისთვის – მენახემ უსიშინსკისათვის გაუგზავნია საქართველოდან.

ფაქტობრივად, ეს არის ანგარიში, რომელსაც იმხანად 17 წლის მოსწავლე აბარებს თავის სიონისტ მასწავლებელს საქართველოში განეული მუშაობის შესახებ. როგორც ხსენებული წერილიდან ნათლად ჩანს, იგი სამშობლოში დაბრუნებისთანავე შედგომია აქტიურად აქაურ ებრაელობაში სიონისტური იდეების დანერგვას. მისი თქმით, „ხალას ოქროზე ძვირფასი“ ამ იდეების ქადაგების დროს მას, მართალია, „შეუპოვარი და გააფთრებული ბრძოლის წარმოება მოუხდა, მაგრამ ღმერთის შეწევნით ყველა დაბრკოლება გადალახა“ და ჯერ ქუთაისში შეძლო „სიონისტთა საზოგადოების“ შექმნა, შემდეგ კი ონსა და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

სამწუხაროდ, იმის გამო, რომ იმდროინდელ ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი სათანადოდ არ იყო გარკვეული სიონიზმის არსში, ბევრი მათგანი არათუ მხარს არ უჭერდა საქართველოს სიონისტთა ლიდერად აღიარებულ ახალგაზრდა ებრაელ მოღვაწეს, არამედ აქტიურადაც ეწინააღმდეგებოდა მას და ჩვენი ქვეყნის ლალატშიც კი დებდა ბრალს. როგორც ხსენებული პერიოდის პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც ნათლად ჩანს, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ქუთაისელ ებრაელთა რაბინი რეუბენ ელუაშვილი და ძმები: იოსებ და მიხაკო ხანანაშვილები აქტიურობდნენ.

კერძოდ, ერთ-ერთი უმთავრესი ბრალდება, რომელსაც ქუთაისელ ებრაელთა რაბინი დ. ბააზოვს მის წინააღმდეგ მიმართულ წერილებში უყენებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ დ. ბააზოვი „სიონისტი იყო და სურდა ქართველებისაგან ებრაელების გამოყოფა.“ ქუთაისელ ებრაელთა რაბინსა და დ. ბააზოვს შორის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე პოლემიკას მაშინ სხვა ქართველი ებრაელებიც ფართოდ გამოეხმაურნენ. მაგალითად, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1915 წლის 449-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ნათან ელიაშვილმა პირდაპირ და არა-ორაზროვნად განაცხადა, რომ დ. ბააზოვის მიერ წამოყენებული პროგრამა უპირველეს ყოვლისა ებრაელთა განათლების საქმის მოგვარებას ისახავდა მიზნად და მასში არაფერი იყო დასაგმობი და უარსაყოფი.

რაც შეეხებოდა თვითონ სიონისტურ იდეას,

ნ. ელიაშვილის ხაზგასმით, მასში „სრულიადაც არაფერი იყო შოვინისტური.“ ასე რომ, „ქართულ ებრაელს შეუძლიან სიონისტი იყოს, მაგრამ ამასთანავე ძმურად ცხოვრობდეს ქართველებთან ერთად. მათ ჭირსა და ლხინს იზიარებდეს და უანგაროდ იღწვოდეს თავის კეთილ თავშესაფარ საქართველოს საკეთილდღეოდაც.“

სიონისტური იდეებით დ. ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების გატაცება უპირველეს ყოვლისა იმის რწმენით იყო განპირობებული, რომ ამ იდეათა რეალობად ქცევა არა მარტო მათი ეროვნული თვითმგენების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას შეუწყობდა ხელს, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, ეს მოვლენა გახდებოდა უმთავრესი საფუძველი მშობლიური მიწა-წყლიდან ბარბაროსულად განდევნილ და მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში მიმოფანტულ ებრაელთა მიერ საუკუნეების წინათ დაკარგული სახელმწიფოს აღდგენისა.

მაგალითად, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1916 წლის 474-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – „1915 წელიწადი და ებრაელობა“ ამ ეროვნულ მიზანსწრაფვას დ. ბააზოვი შემდეგნაირად გამოხატავდა: „**ებრაელების ეროვნული აღდგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მას დაუვიწყარ სამშობლოს – პალესტინას აღუდგენენ.**“ სიონისტური იდეებისადმი დ. ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების ერთგულება კი უწინარესად იმის რწმენით იყო განპირობებული, რომ ამ უდიდესი ეროვნული ოცნების რეალურად ხორცშემსხმელ ერთადერთ ძალას სწორედ სიონიზმი წარმოადგენდა.

გასული საუკუნის ათიანი წლების ქართულ პრესაში ქართველ ებრაელთა შორის საკმაოდ მწვავე პოლემიკის საგნად იქცა მათ ეროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებული პრობლემის განსჯა-განხილვა. კერძოდ, დავით ბააზოვი და მისი მომხრეები პრინციპულად არ იზიარებდნენ და უმკაცრესად აკრიტიკებდნენ ძმების – მიხაკო და იოსებ ხანანაშვილებისა და მათი თანამოაზრეების თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართველი ებრაელები ეთნიკური წარმომავლობით ქართველები არიან და ებრაელებს მხოლოდ სარწმუნოებრივად ენათესავებიან. ხანანაშვილების ამგვარ თვალსაზრისს „ებრაელ ნაციონალისტიზად“ სახელდებული დ. ბააზოვი და მისი თანამოაზრეები „დიდ შეცდომასა და გაუგებრობას“ უწოდებდნენ და თავიანთი მხრიდან „ახალგაზრდა ასიმილაციორებად“ შერაცხულ ძმებს ისტორიის არცოდნასა და გაყალბებაში დებდნენ ბრალს.

(დასრული მომდევნო ნომერში)

სასამართლო ქრონიკა

მკითხველისთვის ცნობილია, რომ სპორტულმა კომენტატორმა ჯ. ხუხაშვილმა 2012 წელს ისრაელში, ქ. ხაიფის სასამართლოში აღძრა საქმე მწერალ გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ ნარკოტიკებით ვაჭრობა დამაბრალაო. ხაიფის მომრიგებელმა სასამართლომ ჯ. ხუხაშვილის საჩივარი არ დააკმაყოფილა და მას ბათიაშვილის სასარგებლოდ ფულადი ჯარიმის გადახდა დააკისრა. ამის შემდეგ ჯ. ხუხაშვილმა თავისი, ან თავისივე დამქაშების სახელით თბილისის საქალაქო სასამართლოში ექვსჯერ მოითხოვა გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ საქმის აღძვრა: ბათიაშვილი წერს საქართველოში ანტისემიტიზმი მძინვარებს და უნდა დაისაჯოსო. ეს იმიტომ რომ 2011 წელს გ. ბათიაშვილმა დაგმო სპორტის მინისტრის ანტისემიტიური საქციელი. სასამართლომ ხუხაშვილის და მისი დამქაშების საჩივარი განსახილველად არ მიიღო, მაგრამ ხუხაშვილმა მეშვიდედ მიზანს მიიღწია.

ა.წ.13 მაისს გამოცხადდა გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯ. ხუხაშვილის საჩივარი გ. ბათიაშვილის წინააღმდეგ არ დააკმაყოფილა.

გ. ბათიაშვილმა საჩივლი აღძრა გაზეთ „ობიექტივი“-ს (დამფუძნებლები და რედაქტორები ჯ. ხუხაშვილი, ზ. დავარაშვილი, დ. ჭელიძე) წინააღმდეგ იმ ბინძური სტატიების გამო, რომლებიც ამ გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა გ. ბათიაშვილზე და როგორც გაირკვა, რომლის ორგანიზებასაც ჯ. ხუხაშვილის, ზ. დავარაშვილი და ჭელიძე მიზანმიმართულად ეწეოდნენ.

19 ნოემბერს გამოცხადდა თბილისის საქალაქო სამართლოს გადაწყვეტილება: სასამართლომ გ. ბათიაშვილის საჩივლი არ დააკმაყოფილა ვადაგასულობის საბაბით.

ეს ფაქტები კარგად მეტყველებს იმაზე, თურა ტენდენციას დაედო სათავე საქართველოს ებრაულ თემში: ებრაელები ერთმანეთს სასამართლოში უჩივიან, თან ერთი მხარე ებრაელის წინააღმდეგ გაჩაღებულ ლაშქრობაში არაებრაელებსაც რთავს, რათა გ. ბათიაშვილი ქართველთა საერთო-სახალხო რისხვის ობიექტი გახადოს. ამაოდ, ხუხაშვილის ის მონოდებაც ამაო გარჯად რჩება, ბათიაშვილი ღონისძიებებზე არ მიიწვიოთ, არ დაპატიჟოთო.

ალბათ, დადგება დრო იმის შესწავლისა, როდის, რატომ, ვის მიერ – იქნება ეს კერძო პირი, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, დაედო სათავე ამ პროცესს.

რაც შეეხება „ობიექტივი“-ს წინააღმდეგ აღძვლულ სასამართლო პროცესს, იგი სხვა ინსტანციაში გადაინაცვლებს.

დაფუძნებელი და

გამომცემელი:

გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე

თბილისი, ლეონიძის 11^ბ,

ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია

ქ. თბილისის მთაწმინდის

რაიონის სასამართლოს

შიპრ.

რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი

გურამ ბათიაშვილი

ISSN 1987-8982 UAC 070

411.16

8-557



9771987898003